ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 131

ქ.თბილისი **„16“ „აგვისტო“, 2016 წელი**

ერთის მხრივ შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბიძინა მგალობლიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჩემი ოფისი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ დავითაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ბიუჯეტის ასლგადამღები მანქანების ტექნიკური მომსახურების (**CPV კოდი 50313200**) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

დასახელება	**განზ. ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**საერთო თანხა (ლარი)**
კარტრიჯის CE285A დატენვა-/აღდგენა მოდელი HP CE285A	ცალი	1	25,00	**25,00**
კარტრიჯის CE285A დატენვა-/აღდგენა მოდელი HP CE285A	ცალი	1	25,00	**25,00**
კარტრიჯის 725 დატენვა-/აღდგენა მოდელი Canon 725	ცალი	1	25,00	**25,00**
კარტრიჯის CE285A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE285A	ცალი	1	45,00	**45,00**
კარტრიჯის CE278A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE278A	ცალი	1	45,00	**45,00**
კარტრიჯის CE285A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE285A	ცალი	1	45,00	**45,00**
კარტრიჯის CE285A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE285A	ცალი	1	45,00	**45,00**

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **255,00 (ორასორმოცდათხუთმეტი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ გაწეული მომსახურება.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი დოკუმენტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიღების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია: შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი შორენა ნოდია.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი დოკუმენტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	შპს „ჩემი ოფისი“
მის: თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის 43	მის: ქ. თბილისი,
ტელ: 0 (32) 2620175;	ბელიაშვილის ქ.#8
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: BAGAGE22	კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE87BC0000000121195700;	ა/ა # GE58TB7539736080100001
ს/კოდი: 209446900	ს/კოდი:401997112
დირექტორი	**დირექტორი**
ბიძინა მგალობლიშვილი	თეიმურაზ დავითაშვილი

„ვამტკიცებ“

შპს „ჩემი ოფისი“-ს

დირექტორი

თეიმურაზ დავითაშვილი _____

„ვამტკიცებ“

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური

ჯანმრთელობის ცენტრი

დირექტორი

_____ ზიძინა მგალობლიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი №2.

ქ. თბილისი **” 17 ” აგვისტო 2016 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი შორენა ნოდია (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ჩემი ოფისი“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმომადგენელი, ვადასტურებთ, რომ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიმდინარე წლის 16 აგვისტოს გაფორმებული №131 ხელშეკრულების შესაბამისად „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ გაუწია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება თანხით **255,00 (ორასორმოცდათხუთმეტი)** ლარი. კერძოდ,

დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო თანხა (ლარი)
კარტრიჯის CE285A დატენვა-/აღდგენა მოდელი HP CE285A	ცალი	1	25,00	**25,00**
კარტრიჯის CE285A დატენვა-/აღდგენა მოდელი HP CE285A	ცალი	1	25,00	**25,00**
კარტრიჯის 725 დატენვა-/აღდგენა მოდელი Canon 725	ცალი	1	25,00	**25,00**
კარტრიჯის CE285A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE285A	ცალი	1	45,00	**45,00**
კარტრიჯის CE278A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE278A	ცალი	1	45,00	**45,00**
კარტრიჯის CE285A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE285A	ცალი	1	45,00	**45,00**
კარტრიჯის CE285A კორპუსის ჩანაცვლება მოდელი HP CE285A	ცალი	1	45,00	**45,00**

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის

წამყვანი სპეციალისტი შორენა ნოდია _____

შპს „ჩემი ოფისი“-ს წარმომადგენელი _____